სატენდერო დოკუმენტაცია

სსიპ - საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია (ქ. თბილისი, ქ.წამებულის გამზირი/ბოჭორმის ქ.50/18) აცხადებს ელექტრონულ ტენდერს - ოპერატორის მობილურ და ფიქსირებულ ქსელში მომავალზე ორიენტირებული, გრძელვადიანი ნაზარდი დანახარჯებით „LRIC“-ით ურთიერთჩართვის ტარიფების მოდელის შემუშავებისა და საკონსულტაციო მომსახურების შესყიდვაზე

CPV – 71316000 ტელეკომუნიკაციასთან დაკავშირებული საკონსულტაციო მომსახურებები

სარჩევი

თავი I -ინსტრუქცია და ტექნიკური მოთხოვნები 3

თავი II- ზოგადი ინფორმაცია..... 6

თავი III - ტექნიკური დავალება (ოპერატორის მობილურ და ფიქსირებულ ქსელში მომავალზე ორიენტირებული, გრძელვადიანი ნაზარდი დანახარჯებით ურთიერთჩართვის ტარიფების მოდელის შემუშავება.) 7

1. **ტექნიკური დავალების ზოგადი და სპეციფიური მოთხოვნები**..... 7
2. **ტექნიკური დავალების შედეგები**..... 9~~8~~
3. **პროექტის ვადები** 10
4. **მომსახურების გაწევის ადგილი** ..... 11~~10~~
5. **ინფორმაციის მიწოდება და კონფიდენციალურობა**..... 11
6. **სატენდერო ფასი, შეთავაზება**..... 12~~11~~

თავი IV- ელექტრონულ ტენდერში მონაწილისადმი წაყენებული მინიმალური მოთხოვნები..... 12~~11~~

2. **ექსპერტები**..... 13~~12~~
3. **ელექტრონულ ტენდერში მონაწილის მიერ წარმოსადგენი ტექნიკური დოკუმენტაცია**..... 15~~14~~

დანართი 1,2,3, 4, 5..... 16

დანართი N1 სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების პროექტი.....16
დანართი N2 სატენდერო წინადადების ფასი და შესრულების ვადები.....22
დანართი N3 პრეტენდენტის რეკვიზიტები.....23
დანართი N4 ავანსის გარანტია.....24
დანართი N5 შესრულების გარანტია.....25

თავი I ინსტრუქცია და ტექნიკური მოთხოვნები

I. ტერმინების განმარტება

ამ დოკუმენტის მიზნებისათვის გამოყენებული ტერმინები განიმარტება შემდეგნაირად:

- **"ხელშეკრულება"** მომსახურების მომწოდებელსა და კომისიას შორის გაფორმებული ხელშეკრულება;
- **"ფასის შეთავაზება"** ტენდერში მონაწილეს მიერ მომსახურების შესასრულებლად შეთავაზებული ფასი;
- **"კომისია"** საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია;
- **„მიმწოდებელი"** ტენდერში გამარჯვებული ვინც სახელშეკრულებო ურთიერთობებში შევიდა კომისიასთან ;
- **"სატენდერო წინადადება"** პრეტენდენტის დოკუმენტაცია და შემოთავაზებული ფასი;
- **"2G"** მეორე თაობის მობილური ქსელი;
- **"3G"** მესამე თაობის მობილური ქსელი;
- **"WACC"** კაპიტალის საშუალო შეწონილი განაკვეთი;
- **"MTR"** მობილურ ქსელში ზარის დასრულების ტარიფი;
- **"NGN"** ახალი გენერაციის ქსელი;
- **"LRIC"** გრძელვადიანი ნაზარდი დანახარჯების მოდელი;
- **"BU"** ქვემოდან ზემოთ;
- "**TD"** ზემოდან ქვემოთ;
- **"CCA"** აქტივების მიმდინარე ღირებულებით აღრიცხვის მოდელი;
- **"HCA" აქტივების** ისტორიული ღირებულებით აღრიცხვის მოდელი;
- **"ნაზარდი ხარჯი"** ევრო კომისიის N 2009/396/EC რეკომენდაციით ნაზარდი ხარჯები არის დანახარჯებს შორის სხვაობა, რომელიც მიიღება ოპერატორის მიერ მომსახურებების ფუნქციონალურად სრული ასორტიმენტის გაწევის უზრუნველყოფისთვის საჭირო დანახარჯებსა და ოპერატორის მიერ მომსახურების სრული ასორტიმენტის ურთიერთჩართვის მომსახურების გარდა გაწევის უზრუნველყოფისთვის საჭირო დანახარჯებს შორის;
- **"FAC"** დანახარჯების სრულად მიკუთვნების მეთოდი;
- **"FL-LRIC"** მომავალზე ორიენტირებული, გრძელვადიანი ნაზარდი დანახარჯების მოდელი.

II. ინსტრუქცია ტენდერში მონაწილეთათვის

1. ელექტრონული სახელმწიფო შესყიდვა ტარდება სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში (შემდგომში - სისტემა);
2. სისტემაში შესყიდვის პროცედურები ხორციელდება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ შესაბამისად;
3. სისტემის მომხმარებლის სახელმძღვანელო მოცემულია შემდეგ ბმულზე: http://www.procurement.gov.ge/getattachment/ELibrary/metod-mititebebi-da-recomendaciebi/PA_USER_MANUAL-indd.pdf.aspx ;
4. ტენდერში მონაწილეობის უფლება აქვს ყველა დაინტერესებულ იურიდიულ პირს, რომელიც გაცნობილია და ეთანხმება ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონისა და ,,გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მოთხოვნებს და არ არის შეყვანილი შესყიდვებში მონაწილე არაკეთილსინდისიერ პირთა რეესტრში (,,შავი სია“).
5. ელექტრონულ ტენდერთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იქნეს ქართულ ენაზე. დოკუმენტების ან/და ინფორმაციის უცხოურ ენაზე წარდგენის შემთხვევაში მათ უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი. ასეთ შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება ქართულ თარგმანს. (დახმარებისათვის, გთხოვთ მიმართოთ თქვენს ქვეყანაში არსებულ საქართველოს წარმომადგენლობას http://www.mfa.gov.ge)
6. სისტემაში ატვირთული ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია დამოწმებული უნდა იყოს უფლებამოსილი პირის ან მისი ნდობით აღჭურვული პირის ხელმოწერილითა და ბეჭდით (ასეთის არსებობის შემთხვევაში). მინდობილობის არსებობის შემთხვევაში ასეთი დოკუმენტი ატვირთული უნდა იქნეს სისტემაში.
7. ხელშეკრულების ფორმა და პირობები მოცემულია სატენდერო დოკუმენტაციაში, რომელიც ხელშეკრულების დადების მომენტისათვის დაზუსტდება სატენდერო წინადადების შესაბამისად;
8. პრეტენდენტს არ აქვს უფლება წარმოადგინოს ალტერნატიული სატენდერო წინადადება;
9. წინამდებარე დოკუმენტის ქართულ და ინგლისურ ვერსიებს შორის განსხვავებების არსებობისას შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება ქართულ ენაზე შედგენილ დოკუმენტს;
10. სატენდერო დოკუმენტაციასთან დაკავშირებული განმარტებების მიღება პრეტენდენტს შეუძლია სატენდერო კომისიის აპარატში, ქ. თბილისი, ქ.წამებულის გამზ/ბოჭორმის ქ. 50/18, მე-4 სართული ოთახი №4, დავით გოგიჩაიშვილი +995322311144 ელ.ფოსტა dgogichaishvili@gncc.ge გრიგოლ სულუხია ტელ: +995322399669, ელ.ფოსტა: gsulukhia@gncc.ge

III. ტექნიკური დავალება

1. სატენდერო წინადადების ღირებულება უნდა მოიცავდეს ამ ტენდერით გათვალისწინებული მომსახურების სრულყოფილად გაწევასთან დაკავშირებულ პრეტენდენტის ყველა ხარჯს, დღგ-ს გარეშე. ხარჯები, რომლებიც სატენდერო წინადადების ფასში არ იქნება გათვალისწინებული, არ დაექვემდებარება ანაზღაურებას; საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადების სახელმწიფო ბიუჯეტში გადახდას უზრუნველყოფს შემსყიდველი, რაც მოიცავს დღგ-ს (18%) და არარეზიდენტი პირის გამარჯვების შემთხვევაში, არარეზიდენტის საშემოსავლო გადასახადს ხელშეკრულების ღირებულების 10%-ის ოდენობით.

2. ამ ელექტრონული ტენდერის შედეგად დადებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანგარიშსწორება მოხდება საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის ბიუჯეტიდან შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 15 დღის განმავლობაში. ხელშეკრულების ჯამურ ღირებულებაში გათვალისწინებული იქნება გამარჯვებული პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადების ფასი და ამ ფასს დამატებული საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადები, რომლის გადახდასაც უზრუნველყოფს შემსყიდველი;

3. თუ ტენდერში ელექტრონული ვაჭრობის შედეგად გამარჯვებული პრეტენდენტის მიერ სისტემაში დაფიქსირებული საბოლოო ფასი 20%-ზე ნაკლებით დაბალი იქნება შესაბამისი ტენდერის შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებაზე, ტენდერში გამარჯვებული ვალდებულია ხელშეკრულების დადებამდე წარმოადგინოს სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია (დანართი N 4 ის შესაბამისად), სახელშეკრულებო ღირებულების 5%-ის ოდენობაზე, რომლის მოქმედების ვადა 1 თვით უნდა აღემატებოდეს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების მოქმედების ვადას; საბანკო გარანტია წარმოდგენილი უნდა იყოს არანაკლებ BB- ან უფრო მაღალი საკრედიტო რეიტინგის მქონე საერთაშორისო ბანკის მიერ.

4. თუ ტენდერში ელექტრონული ვაჭრობის შედეგად გამარჯვებული პრეტენდენტის მიერ სისტემაში დაფიქსირებული საბოლოო ფასი 20%-ზე მეტით დაბალი იქნება შესაბამისი ტენდერის შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებაზე, შემსყიდველის მიერ მოითხოვება ხელშეკრულების შესრულების გარანტია (დანართი N 4 ის შესაბამისად) ხელშეკრულების ღირებულების 10%-ის ოდენობით, რომლის მოქმედების ვადა 1 თვით უნდა აღემატებოდეს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების მოქმედების ვადას საბანკო გარანტია წარმოდგენი უნდა იყოს არანაკლებ BB- ან უფრო მაღალი საკრედიტო რეიტინგის მქონე საერთაშორისო ბანკის მიერ;

5. წინასწარი ანგარიშსწორება შესაძლებელია განხორციელდეს ერთჯერადად ხელშეკრულების ღირებულების არაუმეტეს 30%-ის ოდენობით. წინმსწრებით ანგარიშწორების მოთხოვნის შემთხვევაში მიმწოდებელი ვალდებულია წარმოადგინოს წინასწარ მოთხოვნილი თანხის იდენტურ ოდენობაზე საბანკო გარანტია (დანართი N 5 ის შესაბამისად), რომლის მოქმედების ვადა 1 თვით უნდა აღემატებოდეს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების მოქმედების ვადას, საბანკო გარანტია წარმოდგენილი უნდა იყოს არანაკლებ BB- ან უფრო მაღალი საკრედიტო რეიტინგის მქონე საერთაშორისო ბანკის მიერ. დარჩენილი 70%-ის გადახდა განხორციელდება ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულებისა და მიღება-ჩაბარების აქტზე მხარეთა მიერ ხელმოწერიდან 15 დღის ვადაში;

6. სატენდერო წინადადების ფასი წარმოდგენილი უნდა იყოს ცხრილის სახით დანართი N2 - ის შესაბამისად.

თავი II- ზოგადი ინფორმაცია

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია წარმოადგენს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს, რომელიც ახორციელებს ელექტრონული კომუნიკაციებისა და მაუწყებლობის სექტორების რეგულირებას საქართველოში. სხვა საქმიანობასთან ერთად კომისიის მთავარ ფუნქციებს განეკუთვნება სატელეკომუნიკაციო ბაზრის შესაბამის სეგმენტებზე კონკურენციის ხელშეწყობის უზრუნველყოფა.

ამჟამად მობილურ სატელეკომუნიკაციო ბაზარზე საქმიანობს ოთხი ლიცენზირებული მობილური ოპერატორი: შპს „მაგთიკომი“, შპს „ჯეოსელი“, შპს „მობიტელი“ და სს „სილქნეტი“. სს „სილქნეტის“ გარდა სხვა მობილური ქსელის ოპერატორები კომისიის მიერ ცნობილი იქნენ მობილურ ქსელში ურთიერთჩართვის (სატელეფონო ზარების წამოწყების/დასრულების) საბითუმო ბაზრის სეგმენტზე მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ოპერატორებად. ამასთან ფიქსირებულ სატელეკომუნიკაციო ბაზარზე საქმიანობს ამ მომსახურების მიწოდების ორი ჯგუფი ა) სს „სილქნეტი“ და ბ) შპს „ახალი ქსელები“, შპს „ახტელი“, შპს „ივერია ქსელი“ და შპს ”საქართველოს ცენტრალური კავშირგაბმულობის კორპორაცია” აღნიშნული ფიქსირებული ქსელის ოპერატორები ფიქსირებულ სადენიან ქსელში ურთიერთჩართვის (სატელეფონო ზარების წამოწყების/დასრულების) საბითუმო ბაზრის სეგმენტზე კომისიის მიერ ცნობილი იქნენ მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ოპერატორებად.

მომავალზე ორიენტირებული გრძელვადიანი ნაზარდი დანახარჯების (LRIC) მოდელი მარეგულირებელი ორგანოების მიერ ფართოდ გამოიყენება დანახარჯებზე ორიენტირებული ტარიფების დასადგენად. აღნიშული მოდელის გამოყენების ძირითად მიზეზს წარმოადგენს ის, რომ LRIC შეესატყვისება ბაზარზე ალტერნატიული ოპერატორისთვის კონკურენტული გარემოს განვითარებას ამასთან, თუ ოპერატორს ბაზარის შესაბამის სეგმენტზე აქვს მნშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლება, მაშინ LRIC მოდელის გამოყენებით მარეგულირებელს ეძლევა იმის რწმუნება, რომ ბაზრის შესაბამის სეგმენზე დადგენილი ტარიფები შეესაბამება ბაზრის კონკურენტულ პირობებს.

არსებული კანომდებლობის მიხედვით, კომისია ვალდებულია დარწმუნდეს იმაში, რომ მნშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ოპერატორის მიერ დაწესებული ურთიერთჩართვის ტარიფები დანახარჯებზე ორიენტირებულია, შესაბამისად აღნიშნული პროექტის მიზანია სათანადო გამოცდილების კონსულტანტის დახმარებით ბაზრის მონაწილეებთან და დაინტერესებულ პირებთან შესაბამისი კონსულტაციების წარმოების საშუალებით შეიმუშაოს მომავალზე ორიენტირებული გრძელვადიანი ნაზარდი დანახარჯების LRIC მოდელი. აღსანიშნავია, რომ სატელეფონო ზარის წამოწყების/დასრულების ტარიფები LRIC -ის საშუალებით უნდა დადგინდეს ეფექტური ოპერატორის მიერ გაწეული დანახარჯების საფუძველზე.

თავი III - ტექნიკური დავალება - ოპერატორის მობილურ და ფიქსირებულ ქსელში მომავალზე ორიენტირებული, გრძელვადიანი ნაზარდი დანახარჯებით „LRIC“-ით ურთიერთჩართვის ტარიფების მოდელის შემუშავება.

1. შესყიდვის ობიექტის აღწერილობა

- ევრო კომისიის N 2009/396/EC რეკომენდაციით გათვალისწინებული მობილურ და ფიქსირებულ ქსელში ზარის დასრულების მომავალზე ორიენტირებული; გრძელვადიანი ნაზარდი დანახარჯების (LRIC) მოდელის მიხედვით გაანგარიშება;

- ფიქსირებულ და მობილურ ქსელებში ზარის წამოწყების გაანგარიშების მოდელის შერჩევის ფარგლებში კომისიისთვის კონსულტაციების და რეკომენდაციების გაწევა, მათ შორის მარეგულირებელი საკანომდებლო ცვლილებების თვალსაზრისით კომისიისთვის რეკომენდაციების გაწევა;

- მიმოწოდებლის მიერ შემუშავებული ზემოთ აღნიშნული რეკომენდაციებით ფიქსირებულ და მობილურ ქსელებში ზარის წამოწყების მომსახურების გაანგარიშების მოდელის შემუშავება; მოდელს ასევე უნდა ჰქონდეს ეროვნული (ნაციონალური) როუმინგის მომსახურების დანახარჯების შემდეგი რომელიმე მოდელით (pure LRIC, LRAIC, LRIC+ და ა.შ.) გაანგარიშების ფუნქცია;

- მიმწოდებელმა უნდა შეიმუშავოს LRIC მოდელის გამოყენების მეთოდოლოგიური წესები;

- მიმწოდებელმა LRIC მოდელში შესაყვანი მონაცემების პარამეტრების შესაძლო ცვლილების საფუძველზე უნდა შეიმუშაოს მგრძნობირობის ანალიზის (sensitivity analysis) ფუნქციის მქონე ელექტრონული ცხრილი MS Excel-ში. აღნიშნული ცხრილი მომხმარებლელს უნდა აძლევდეს მის მიერ LRIC პარამეტრების ცვლილებით გამოწვეული მთლიანად მოდელის მგრძნობელობის ტესტირებას განხორციელების საშუალებას;

- მიმწოდებელმა დაინტერესებულ პირებთან უნდა აწარმოოს LRIC-ის მოდელირების საშუალებების, წესების, მეთოდოლოგიის და LRIC მოდელზე მნიშვნელოვანი გავლენის მქონე პრინციპების საჯარო კონსულტაციები; კონსულტანტმა ასევე უნდა უხელმძღვანელოს LRIC მოდელით მობილური და ფიქსირებული ქსელებში ზარის წამოწყების და ზარის დასრულების ტარიფების გაანგარიშების დაწყებიდან დასრულებამდე ყველა პროცესს. საჯარო კონსულტაციები უნდა გაიმართოს სულ მცირე თვეში ერთხელ, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ბაზრის მონაწილეები და პროექტი მოითხოვს საჯარო კონსულტაციების უფრო მაღალი სიხშირით ჩატარებას;

- მიმწოდებელმა უნდა შეაგროვოს LRIC მოდელში შესაყვანი მონაცემები. ამ მონაცემთა შეგროვების პროცესი უნდა მოიცავდეს ოპერატორებთან შეხვედრებს, მათ შორის საჭირო ინფორმაციის მომზადებისათვის აუცილებელ ახსნა-განმარტებების წერილობით მომზადებას. კონსულტანტმა უნდა შიმუშაოს LRIC მოდელში შესაყვანი მონაცემების მომზადების ელექტრონული ცხრილები (MS Excel-ში). აღნიშნული უნდა შეიცავდეს ასევე, მონაცემების შეგროვების და ამ მონაცემების რაოდენობრივ და ხარისხობრივ შეფასებასთან დაკავშირებულ წესებს და განმარტებებს. ასევე ის უნდა მოიცავდეს ოპერატორების მიერ წარმოუდგენელი ინფორმაციის ალტერნატიული წყაროებით მოპოვების საშუალებების (საერთაშორისო ბენჩმარკები და ა.შ) აღწერას;

- მიმწოდებელმა LRIC მოდელის გამოყენებასთან დაკავშირებით კომიისის თანამშრომლებისთვის უნდა ჩაატაროს ტრენინგი;

- მიმწოდებელმა მობილურ და ფიქსირებულ ქსელში ზარების წამოყწების და დასრულების ტარიფების გაანგარიშების მიზნებისათვის უნდა გაიანგარიშოს კაპიტალის საშუალო შეწონილი ღირებულება „WACC“ (WACC-ის გაანგარიშებისას გამოყენებული უნდა იქნეს ამ მაჩვენებელის მარეგულირებელი მიზნებისათვის გამოყენების საუკეთესო პრაქტიკა (მაგ. ERG (07)05-PIBs on WACC დოკუმენტით განსაზღვრული გააანგარიშების წესები);

- მიმწოდებელმა უნდა შეიმუშოს დანახარჯების განცალკევებული აღრიცხვის მეთოდოლოგიური წესები, მეთოდოლოგიური წესებით დეტალურად უნდა განისაზღვროს განცალკევებული აღრიცხვის ანგარიშის მომზადების ძირითადი პრინციპები, დაშვებები, კალცულაციის წესები და გაანგარიშებების განხორციელების თანმიმდევრობა (მეთოდოლოგიური წესების მომზადებისას კონსულტანტმა უნდა იხელმძღვანელოს ასეთი მეთოდოლოგიური წესების მარეგულირებელი მიზნებისათვის გამოყენების საუკეთესო პრაქტიკით);

- მეთოდოლოგიური წესების მომზადების და WACC-ის გაანგარიშების მიზნებისათვის მიმწოდებელმა დაინტერესებულ პირებთან უნდა აწარმოოს საჯარო კონსულტაციები.

აღნიშნული კონსულტაციები შეიძლება იწარმოოს სხვა კონსულტაციებთან ერთად ან ჩატარდეს ცალკე.

2. ტექნიკური დავალების შედეგები

მიმწოდებელმა უნდა შეიმუშაოს ამ დოკუმენტით მოთხოვნილი მობილური და ფიქსირებული ქსელის დანახარჯების მოდელები, რომლის შედეგების საფუძველზე დაეხმაროს და კონსულტაცია გაუწიოს კომისიას მოქმედი ტარიფების გადახედვის თვალსაზრისით (ტარიფების გადახედვა ამ დოკუმენტის მიზნებისათვის გულისხმობს ბაზრის შესაბამის სეგმენტებზე ტარიფების დაწესებას მაგ. ეტაპობრივი შემცირების შემოღებით და ა.შ). მიმწოდებელმა მჭიდროდ უნდა ითანამშრომლოს კომისიის მიერ ამ პროექტის შესრულების მიზნებისათვის გამოყოფილ თანამშრომლებთან. საჭიროების შემთხევაში კომისიის მიერ ამ პროექტის შესრულების მიზნებისათვის გამოყოფილ თანამშრომლებს მიმწოდებელმა უნდა ჩაუტაროს შესაბამისი ტრენინგი.

მიმწოდებელმა მის მიერ ამ დოკუმენტის ტექნიკური დავალების ზოგადი და სპეციფიური მოთხოვნების შესრულების შედეგად უნდა წარმოადგინოს შემდეგი:

- LRIC მოდელის მომზადების მეთოდოლოგიური წესები (მეთოდოლოგია), მეთოდოლოგია უნდა იყოს წარმოდგენილი წერილობითი ფორმით იმისათვის, რომ კომისიამ აღნიშნული დოკუმენტი გამოიყენოს საჯარო კონსულტაციების ჩატარების და კომისიის გადაწყვეტილების მიღების მიზნებისათვის;

- საქართველოში არსებული ტექნოლოგიის და ქსელის ტოპოლოოგის საფუძველზე მომზადებული მობილური ქსელის ოპერატორის BU – LRIC მოდელი;

- საქართველოში არსებული ტექნოლოგიის და ძირითადი ქსელის ტოპოლოოგის საფუძველზე მომზადებული ფიქსირებული ქსელის ოპერატორის BU – LRIC მოდელი;

- LRIC მოდელის გამოყენების ისეთი ინსტრუქცია, რომელიც საშუალებას მისცემს კომისიის თანამშრომლებს გამოიყენეონ მოდელი და შეცვალონ ბაზარზე არსებული ცვლილებებით გამოწვეული მოდელის პარამეტრები;

- მოდელში შესატანი მონაცემების მოდელზე გავლენის მგრძნობიარობის ანალიზის ელექტრონული ცხრილი MS Excel-ში;

- WACC გაანგარიშება, გაანგარიშების თანმხლები აღწერითი ანგარიშით;

- განცალკევებული აღრიცხვის ანგარიშის მომზადების სახელმძღვანელო, რომელიც უნდა მოიცავდეს შემდეგ საკითხებს:

  - დანახარჯების განცალკევებულად აღრიცხვის კალკულაციის ძირითადი პრინციპებს;

  - განცალკევებული აღრიცხვის ანგარიშში მომსახურებების განცალკევებულად წარმოდგენის დეტალები და ინდივიდუალიზაცია (დონეები);

  - განცელკევებული აღრიცხვის ანგარიშის მომზადების წესები და დანახარჯების გადანაწილების მეთოდები;

  - საცალო და საბითუმო მომსახურებების განცალკევებული აღრიცხვის ანგარიშის ფინანსური უწყისები;

  - ანგარიშგების წარმოდგენის მოთხოვნები;

  - განცალკევებული აღრიცხვის შინაარსობრივი სტრუქტურის ელექტრონული ცხრილები (MS Excel-ში);

  - ელექტრონული ცხრილებში შესატანი პარამატრების აღწერა;

  - განცალეკვებული აღრიცხვის ანგარიშის აუდიტი და მიმოხილვა.

- მიმწოდებელმა მონაწილეობა უნდა მიიღოს საჯარო კონსულტაციებში (მათ შორის, საჯარო კონსულტაციებში უნდა ჩართონ ტექნიკური და ეკონომიკური ექსპერტები), ამასთან მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს საჯარო კონსულტაციების სხვადასხვა ეტაპზე გადაწყვეტილების მისაღებად მხარდამჭერი შენიშვნების არგუმენტაციების მომზადება.

3. პროექტის ვადები

პროექტის ხანგრძლივობა განისაზღვრება 6 თვის ვადით. ტენდერში გამარჯვებულმა უნდა წარმოადგინოს პროექტით განსაზღვრული ტექნიკური დავალების შედეგების წარმოდგენის ვადები (დანართი N 2 ის მიხედვით), რომლებსაც რეგულარად, თუმცა არანაკლებ თვეში ერთხელ გადახედავს ორივე მხარე. ორივე მხარემ რეგულარულად უნდა გადახედოს წარმოსადგენი ტექნიკური დავალების შედეგების სტატუს. საბოლოო შედეგების წარდგენა/გადაცემა უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების ხელმოწერიდან არა უგვიანეს 26-ე კვირის ბოლოს.

განცალკევებული აღრიცხვის ანგარიშის მომზადების სახელმძღვანელო ტენდერში გამარჯვებულმა უნდა წარმოადგინოს ხელშეკრულების ხელმოწერიდან არა უგვიანეს მე-6 კვირის ბოლოს.

4. მომსახურების გაწევის ადგილი

ა) მომსახურების მიწოდების ადგილია ქ. თბილისი;
ბ) ტენდერში გამარჯვებული ვალდებული იქნება მუდმივად იმუშაოს კომისიის შესაბამის თანამშრომლებთან ელ-ფოსტისა და საკონფერენციო ზარების მეშვეობით;
გ)პროექტის განმავლობაში უნდა ჩატარდეს მინიმუმ ექვსი ერთობლივი (პირისპირ) შეხვედრა კომისიის თანამშრომლებთან ერთად, კომისიის ოფისში;

- მოსამზადებელი შეხვედრა (პროექტის საწყის ეტაპზე) - რომლის ფარგლებშიც განხორციელდება კომისიის შესაბამის თანამშრომლებთან ერთად იმ ძირითად პარამეტრებსა და დაშვებებზე შეთანხმება, რომელიც გამოიყენება LRIC მოდელში;
- ოთხი შუალედური შეხვედრა (პროექტის მიმდინარეობის შუალედურ ეტაპზე) - რომლის ფარგლებშიც განხორციელდება შესრულებული სამუშაოს წინაწარი შედეგების განხილვა კომისიის შესაბამის თანამშრომლებთან ერთად;
- საბოლოო შეხვედრა (პროექტის დასრულების ეტაპზე) - შეხვედრა კომისიის თანამშრომლებთან და ბაზრის მონაწილეებთან საბოლოო შედეგების წარდგენის მიზნით.

დ) შეხვედრების დაზუსტებული განრიგი შეთანხმდება მიმწოდებელთან;
ე) განცალკევებული აღრიცხვის მომზადებისათვის საჭირო საჯარო კონსულტაციების წარმართვისთვის საჭირო შეხვედრების მოწყობა შეთანხმდება მიმწოდებელთან;

5. ინფორმაციის მიწოდება და კონფიდენციალურობა

ა) კომისიმ, ტენდერში გამარჯვებულ პირს, უნდა მიაწოდოს მის ხელთ არსებული საქართველოს ბაზრის შესახებ ინფორმაცია (მათ შორის ინფორმაცია ოპერატორების ტრაფიკების შესახებ, შემოსავლების შესახე და ა.შ.);
ბ) ტენდნერში გამარჯვებული ვალდებულია, ხელი მოაწეროს ხელშეკრულებას კონფიდენციალურობის შესახებ;
გ) კომისიისაგან მიღებული ინფორმაციის კონფიდენციალურობა დაცული უნდა იყოს ნებისმიერ დროს (მუდმივად);
დ) მოცემული ტენდერის ფარგლებში ტედნერში გამარჯვებული კომპანიის მიერ შექმნილი ყველა დოკუმენტი წარმოადგენს კომისიის საკუთრებას.

6. სატენდერო ფასი, შეთავაზება

ტენდერში მონაწილის მიერ შეთავაზებული ფასი უნდა მოიცავდეს პროექტთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს, მათ შორის, კომისიისათვის ანგარიშების წარდგენისა და მგზავრობისათვის საჭირო ხარჯებს.

თავი IV- ელექტრონულ ტენდერში მონაწილისადმი წაყენებული მინიმალური მოთხოვნები

1. პროფესიული კვალიფიკაცია და გამოცდილება

პრეტენდენტს სავალდებულოა გააჩნდეს ევროკომისიის გადაწყვეტილებების შესაბამისად მობილური და ფიქსირებული ქსელისთვის LRIC მოდელის შემუშავების გამოცდილება. პრეტენდენტს უნდა გააჩნდეს საერთაშორისოდ გამოცდილება. პრეტენდენტს ასევე უნდა გააჩნდეს:

- საერთაშორისო დონეზე (მათ შორის ევროპაში) ელექტრონული კომუნიკაციების სექტორში, ოპერატორებისათვის და მარეგულირებელი ორგანოებისათვის მინიმუმ 5 წლიანი საკონსულტაციო მომსახურების მიწოდების გამოცდილება (წელიწადში სულ მცირე 1 პროექტის განხორცილება).

- პრეტენდენტმა უნდა აჩვენოს რომ ბოლო 5 წლის განმავლობაში მის მიერ მსგავსი პროექტები შესრულებულია შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

  ა) ევრო კომისიის N 2009/396/EC რეკომენდაციით გათვალისწინებული ფიქსირებულ ქსელში ზარის დასრულების მომავალზე ორიენტირებული გრძელვადიანი ნაზარდი დანახარჯების BU-LRIC მოდელით გაანგარიშების გამოცდილება, ამასთან გაანგარიშებები შესრულებული უნდა იყოს ევროკავშირის ნებისმიერი წევრი ქვეყნის მარეგულირებელისათვის ტარიფების დადგენის თვალსაზრისით;

  ბ) ევრო კომისიის N 2009/396/EC რეკომენდაციით გათვალისწინებული მობილურ ქსელში ზარის დასრულების მომავალზე ორიენტირებული გრძელვადიანი ნაზარდი დანახარჯების BU-LRIC მოდელით გაანგარიშების გამოცდილება ამასთან გაანგარიშებები შესრულებული უნდა იყოს ევროკავშირის ნებისმიერი წევრი ქვეყნის მარეგულირებელისათვის ტარიფების დადგენის თვალსაზრისით;

გ) მობილურ და ფიქსირებულ ქსელში ზარის წამოწყების და დასრულების ტარიფების გაანგარიშების მიზნებისათვის ევროკავშირის ქვეყნების მარეგულირებელისათვის კაპიტალის საშუალო შეწონილი ღირებულების WACC-ის გაანგარიშების გამოცდილება.

2. ექსპერტები

ა) პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილ ექსპერტთა ჯგუფი უნდა შედგებოდეს არანაკლებ:

- ჯგუფის ლიდერისგან
    - o რომელსაც გააჩნია მარეგულირებელ სატელეკომუნიკაციო სფეროში ჯამში არანაკლებ 8 წლიანი გამოცდილება;
    - o მარეგულირებელ სატელეკომუნიკაციო სფეროში ევრო კავშირის მიერ ორგანიზებულ შესყიდვებში მონაწილეობის არანაკლებ 5 წლიანი გამოცდილება.

- **ტექნიკური ექსპერტები**
    - o სატელეკომონიკაციო ინდუსტრიაში არანაკლებ 5 წლიანი პრაქტიკული გამოცდილება;
    - o სატელეკომუნიკაციო ქსელის მოდელირების და შეფასების არანაკლებ 3 წლიანი პრაქტიკული გამოცდილება მათ შორის:

        - o NGN ძირითადი ქსელის მოდელირების და შეფასების არა ნაკლებ 2 პროექტის შესრულება;

        - o 2G/3G მობილური ქსელის მოდელირების და შეფასების არა ნაკლებ 2 პროექტის შესრულება.

    - o სატელეკომუნიკაციო ინდუსტრიაში ფინანსური მოდელირების და მარაგულირებელი აღრიცხვის ცოდნა და არა ნაკლებ 3 წლიანი პრაქტიკული გამოცდილება, აღნიშნული უნდა დადასტურდეს შემდეგი სახის პროექტების შესრულების გამოცდილებით:

        - o ევრო კომისიის N 2009/396/EC რეკომენდაციით გათვალისწინებული ფიქსირებულ და მობილურ ქსელში ზარის დასრულების მომავალზე ორიენტირებული გრძელვადიანი ნაზარდი დანახარჯების BU-LRIC მოდელით გაანგარიშების არანაკლებ 3 პროექტის შესრულების გამოცდილება, ამასთან პროექტები შესრულებული უნდა იყოს ევროკავშირის ქვეყნების მარეგულირებელისათვის ტარიფების დასადგენად;

- ევრო კომისიის რეკომენდაციით გათვალისწინებული ფიქსირებულ და მობილურ ქსელში ზარის დასრულების მომავალზე ორიენტირებული გრძელვადიანი ნაზარდი დანახარჯების TD-LRIC მოდელით გაანგარიშების არანაკლებ 1 პროექტის შესრულების გამოცდილება ამასთან პროექტი შესრულებული უნდა იყოს ევროკავშირის ქვეყნების მარეგულირებელისათვის ტარიფების დასადგენად.

- **ეკონომიკური ექსპერტი**

  - სატელეკომონიკაციო ინდუსტრიაში არანაკლებ 5 წლიანი პრაქტიკული გამოცდილება;
  - სატელეკომუნიკაციო ქსელის მოდელირების და შეფასების არანაკლებ 3 წლიანი პრაქტიკული გამოცდილება:
    - სატელეკომუნიკაციო ქსელის მიმდინარე ღირებულებით აღრიცხვას, არანაკლებ 1 პროექტის შესრულების გამოცდილება აღნიშნული უნდა დადასტურდეს შესაბამისი პროექტების შესრულების გამოცდილებით;

  - სატელეკომუნიკაციო ინდუსტრიაში ფინანსური მოდელირების და მარაგულირებელი აღრიცხვის ცოდნა და არა ნაკლებ 3 წლიანი პრაქტიკული გამოცდილება, აღნიშნული უნდა დადასტურდეს შემდეგი სახის პროექტების შესრულების გამოცდილებით:

    - ევრო კომისიის N 2009/396/EC რეკომენდაციით გათვალისწინებული ფიქსირებულ და მობილურ ქსელში ზარის დასრულების მომავალზე ორიენტირებული გრძელვადიანი ნაზარდი დანახარჯების BU-LRIC მოდელით გაანგარიშების არანაკლებ 2 პროექტის შესრულების გამოცდილება ამასთან, პროექტები შესრულებული უნდა იყოს ევროკავშირის ქვეყნების მარეგულირებელისათვის ტარიფების დასადგენად;
    - ევრო კომისიის რეკომენდაციით გათვალისწინებული ფიქსირებულ და მობილურ ქსელში ზარის დასრულების მომავალზე ორიენტირებული გრძელვადიანი ნაზარდი დანახარჯების TD-LRIC მოდელით გაანგარიშების არანაკლებ 1 პროექტის შესრულების გამოცდილება ამასთან, პროექტი შესრულებული უნდა იყოს ევროკავშირის ქვეყნების მარეგულირებელისათვის ტარიფების დასადგენად.

  - მობილურ და ფიქსირებულ ქსელში ზარების წამოწყების და დასრულების ტარიფების გაანგარიშების მიზნებისათვის კაპიტალის საშუალო შეწონილი ღირებულების WACC-ის გაანგარიშების სულ მცირე 3 წლიანი გამოცდილება.

აღნიშნული უნდა დადასტურდეს შემდეგი პროექტების შესრულების გამოცდილებით:

- ევრო კავშირის ქვეყნების მარეგულირებელისათვის მობილური ან ფიქსირებული ქსელის მომსახურებებისათვის კაპიტალის საშუალო შეწონილი ღირებულების WACC-ის გაანგარიშების არა ნაკლებ 1 პროექტის შესრულების გამოცდილება.

- ევრო კავშირის ქვეყნების მარეგულირებელისათვის დანახარჯების განცალკევებული აღრიცხვის მეთოდოლოგიური წესების მომზადების სულ მცირე 3 წლიანი გამოცდილება.

ბ) პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს პროექტში მონაწილე ექსპერტების რეზიუმეები (CV), სადაც დეტალურად იქნება აღწერილი აღნიშნული ექსპერტების ცოდნა და სამუშაო გამოცდილება;

3. ელექტრონულ ტენდერში მონაწილის მიერ წარმოსადგენი ტექნიკური დოკუმენტაცია

ელექტრონულ ტენდერში მონაწილე პრეტენდენტი ვალდებულია წარმოადგინოს ხელმოწერილი სატენდერო წინადადების ტექნიკური დოკუმენტაცია ქართულ ენაზე, (ტექნიკური დოკუმენტაციის უცხო ენაზე წარმოდგენის შემთხვევაში თან უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი) რომელიც უნდა მოიცავდეს შემდეგ მონაცემებს:

ა) პრეტენდენტის საიდენტიფიკაციო და საბანკო რეკვიზიტებს დანართი N3-ის შესაბამისად.
ბ) ჩასატარებელი კვლევისადმი პრეტენდენტის მიდგომას, რომელიც ასახავს ტენდერის მონაწილის ხედვას განსახორციელებელი სამუშაოსადმი;
გ) მეთოდოლოგიისა და მიდგომების დეტალურ აღწერას, რომელიც გამოყენებული იქნება დავალების შესასრულებლად, ასევე განსახორციელებელი სამუშაოს გეგმას;
დ) პრეტენდენტის მიერ შესრულებული მსგავსი სამუშაოების შესახებ ინფორმაციას, მათ შორის შესრულებული სამუშაოს ნიმუშებს, რომელთა მოწოდებაც შესაძლებელია;
ე) იმ პირების ჩამონათვალს (მენეჯერების ჩათვლით), რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ ტენდერით განსაზღვრული სამუშაოს შესრულებაში და მათი ფუნქციების და ვალდებულებების დეტალურ აღწერას. შემოთავაზებული ექსპერტების მიმდინარე ბიოგრაფიებს (CV), სადაც დეტალურად იქნება აღწერილი მათ მიერ შესრულებული მსგავსი სამუშაოები და მათი ფუნქციები, ასევე, მათ მიერ მოცემული სამუშაოს შესრულებისათვის საჭირო კვალიფიკაციის და გამოცდილების დამადასტურებელი ინფორმაცია;

ვ) პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს თავისი საქმიანობის აღწერილობა მათ შორის პროექტის შესასრულებლად საჭირო რესურსების შესახებ ინფორმაცია. აღწერილობითი წერილი უნდა შეიცავდეს კომპანიის გამოცდილების შესახებ ინფორმაციას და აღნიშნული პროექტის შესრულების გეგმას. იმ შემთხვევაში, თუ პრეტენდენტს განზრახული აქვს აღნიშნული პროექტის რომელიმე ნაწილის შესასრულებლად ქვეკონტრაქტორის გამოყენება, მაშინ წარმოდგენილი უნდა იქნეს ამ ქვეკონტრაქტორების შესახებ იგივე ინფორმაცია რაც პრეტედენტისგან არის მოთხოვნილი, ასევე, წინასწარი შეთანხმებების ასლები პრეტენდენტსა და ქვეკონტრაქტორ ორგანიზაციებს შორის შემსყიდველის ტექნიკურ დავალებაში აღწერილ სამუშაოებზე ქვეკონტრაქტის გაფორმებაზე მზადყოფნის შესახებ, შემსყიდველის სატენდერო დოკუმენატაციაში მითითებულ ვადებში, პრეტენდენტის წინამდებარე ტენდერში გამარჯვების შემთხვევაში;
გ) გარდა „ე“ პუნქტში აღნიშნული რეზიუმებისა პრეტედენტმა უნდა წარმოადგინოს სარეკომენდაციო წერილები და გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტები წინამდებარე მოთხოვნა ვრცელდება როგორც, პრეტენდენტ კომპანიაზე, ისე მის მიერ წარმოდგენილ ექსპერტთა ჯგუფზე. პრეტენდენტმა ასევე წერილობით უნდა წარმოადგინოს სამუშაო გეგმა იმის შესახებ, თუ, როგორ აპირებს პრეტედენტი აღნიშნულ პროექტში ევრო კავშირის დირექტივების და რეკომენდაციების მაღალი ცოდნის გამოყენებას.

შენიშვნა N1: კომისია იტოვებს უფლებას გადაამოწმოს პრეტენდენტ(ებ)ის მიერ ტექნიკური დოკუმენტაციით წარმოდგენილი ინფორმაციის ნამდვილობა.

დანართი 1

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების პროექტი
ხელშეკრულება N

ქ. თბილისი წელი

ერთის მხრივ, სსიპ ,,საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია” (შემდგომში ,,შემსყიდველი”) წარმოდგენილი მისი თავმჯდომარის ვახტანგ აბაშიძის სახით, და მეორეს მხრივ, ---------- (შემდგომში ,,მიმწოდებელი”), წარმოდგენილი მისი ----------სახით, ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს” კანონისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების შედეგად, დებენ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში „ხელშეკრულება“) - ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ” საქართველოს კანონის საფუძველზე შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით, დამატებით და ასევე ყველა დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებული.
1.2. „ხელშეკრულების ღირებულება“ - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.
1.3. „დღე“, „კვირა“, „თვე“ - კალენდარული დღე, კვირა, თვე.
1.4. „შემსყიდველი“ – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვის ობიექტის შესყიდვას სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების შესაბამისად.
1.5. „მიმწოდებელი“ –პირი, რომელიც შემსყიდველს აწვდის შესყიდვის ობიექტს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების შესაბამისად.
1.6. „შესყიდვის ობიექტი“ – ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული მომსახურება.
1.7. „ტექნიკური დავალება“ – სატენდერო დოკუმენტაციის ტექნიკური დავალება, რომელიც დაერთვება ხელშეკრულებას, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1.საკონსულტაციო მომსახურება- ოპერატორის მობილურ და ფიქსირებულ ქსელში მომავალზე ორიენტირებული, გრძელვადიანი ნაზარდი დანახარჯებით „LRIC“-ით ურთიერთჩართვის ტარიფების მოდელის შემუშავება და საკონსულტაციო მომსახურების შესყიდვა

2.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების აღწერა მოცემულია:

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს ----------
3.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების შესრულებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა ხარჯს. 3.3.ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანგარიშსწორება ხორციელდება შემსყიდველის საკუთარი სახსრებით. ხელშეკრულების ჯამურ ღირებულებაში გათვალისწინებულია გამარჯვებული პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადების ფასი და ამ ფასს დამატებული საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადები, რომლის გადახდასაც უზრუნველყოფს შემსყიდველი;

4. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

4.1. შემსყიდველი მიმწოდებელთან ანგარიშსწორებას ახორციელებს უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით -----
4.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება იწარმოებს გაწეული მომსახურების მიღების თაობაზე მიღება-ჩაბარების აქტის შემსყიდველის მხრიდან ხელმოწერიდან და შესაბამისი ანგარიშ-ფაქტურის წარდგენიდან 15 (თხუთმეტი) სამუშაო დღის ვადაში.

5. მიღება-ჩაბარების წესი

5.1. მომსახურების სრულად განხორციელების შემდეგ მიმწოდებელი შემსყიდველს წარუდგენს მიღება-ჩაბარების აქტს.

5.2. მომსახურების გაწევა დასრულებულად ჩაითვლება მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერის დღიდან.

5.3. შემსყიდველის მხრიდან მიღება–ჩაბარების აქტის ხელმოწერაზე უფლებამოსილი პირი შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ იქნება ხელშეკრულების დადების მომენტისათვის.

6. მომსახურების გაწევის ადგილი და ვადა

6.1. ----------

6.2. მომსახურების გაწევა უნდა დასრულდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუმეტეს

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1. შემსყიდველი უფლებამოსილია:

ა) ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;

ბ) მომსახურების გაწევის დარსულებამდე გამოითხოვოს მიმწოდებლისაგან მისთვის საჭირო დოკუმენტაცია.

7.2. შემსყიდველი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს მიმწოდებლის მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით;

ბ) უზრუნველყოს წარმომადგენლის გამოყოფა, რომელიც ზედამხედველობას გაუწევს პროცესს და საჭიროების შემთხვევაში, მიმწოდებელს გაუწევს შესაბამის კონსულტაციას.

7.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

7.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) გასწიოს მომსახურება სათანადო ხარისხითა და სრული მოცულობით, იმ ვადაში, რომელიც მითითებულია ხელშეკრულების - პუნქტში;

ბ) უზრუნველყოს მომსახურების გაწევა ტექნიკური დავალების შესაბამისად;

გ) უზრუნველყოს შემსყიდველის მიერ მისთვის გადაცემული დოკუმენტაციის კონფიდენციალურობის დაცვა;

დ) შემსყიდველს საკუთრებაში გადასცეს შესრულებული სამუშაოს ელექტრონული ვარიანტი.

8. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირება

8.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირებას განახორციელებს შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების დადების მომენტისათვის შესაბამისად განსაზღვრული პირი.

8.2. ინსპექტირება გულისხმობს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულების, აგრეთვე გაწეული მომსახურების ხარისხის კონტროლს.

8.3. ყველა გამოვლენილი ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

9.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეებს დაეკისრებათ პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით.

9.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10 (ათი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

9.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9.4 მიმწოდებლის მიერ პირგასამტეხლოს არ გადახდის შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია განახორციელოს საბოლოდ გადასახდელი თანხიდან პირგასამტეხლოს ოდენობის გამოქვითვა.

10. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

10.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%–ზე მეტი ოდენობით.

10.4. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

10.5. მხარე ვალდებულია 10.4 პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს.

10.6. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

11. დაუძლეველი ძალა

11.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

11.2 თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან;

11.3 მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს ----------

შემსყიდველი:

მიმწოდებელი:

დანართი N2

სატენდერო წინადადების ფასი და შესრულების ვადები

N	მომსახურების დასახელება	მომსახურების ღირებულება	მომსახურების მიწოდების ვადა: ხელშეკრულების გაფორმებიდან
1	განცალკევებული აღრიცხვის		6 კვირა

	ანგარიშის მომზადების სახელმძღვანელოს შემუშავება		
2	მობილურ და ფიქსირებულ ქსელში ზარის დასრულების მომავალზე ორიენტირებული გრძელვადიანი ნაზარდი დანახარჯების (LRIC) მოდელის მიხედვით გაანგარიშება;		
3	მობილურ და ფიქსირებულ ქსელში ზარის წამოწყების მომავალზე ორიენტირებული გრძელვადიანი ნაზარდი დანახარჯების (LRIC) მოდელის მიხედვით გაანგარიშება;		
4	WACC გაანგარიშება		
5	მომსახურების ღირებულების ჯამი		

დანართი N 3

პრეტენდენტის რეკვიზიტები

პრეტენდენტის დასახელება:

იურიდიული/ფაქტიური მისამართი:

ხელმძღვანელი პირის სახელი/გვარი:

ტელეფონი:

ელ.ფოსტა:

საიდენტიფიკაციო კოდი:

საბანკო რეკვიზიტები:

ხელმოწერა/ბეჭედი _ _____

თარიღი _____

დანართი N 4

დანართი ---:
ავანსის გარანტია

გარანტი:	გარანტის სახელწოდება:
პრინციპალი:	პრინციპალის სახელწოდება:

	პირადი ნომერი/საიდენტიფიკაციო კოდი:----------
ბენეფიციარი: _____	ბენეფიციარის სახელწოდება
გარანტიის თანხა :	----------
გარანტიის გაცემის საფუძველი:	"ბენეფიციარსა " და „პრინციპალს" შორის 201-წლის (რიცხვი, თვე) გაფორმებული N --- ხელშეკრულება.
გარანტიის ძალაში შესვლის წინაპირობა:	გარანტია ძალაში შედის საავანსო თანხის (ან მისი ნაწილის) პრინციპალისათვის შემდეგ ანგარიშზე - ---------- გადარიცხვისთანავე.
გარანტიით უზრუნველყოფილი ვალდებულება:	"გარანტი" კისრულობს ვალდებულებას, ყოველგვარი უარყოფისა და გასაჩივრების უფლების გარეშე, აგრეთვე ზემოაღნიშნული ხელშეკრულების მოქმედების ვადის ან ნამდვილობის მიუხედავად, "ბენეფიციარის" პირველივე წერილობითი მოთხოვნის (არ არის სავალდებულო მოთხოვნა შეიცავდეს მითითებას კონკრეტულ დარღვევებზე) მიღებიდან სამი საბანკო დღის ვადაში გადაუხადოს მას გარანტიის თანხა.
გარანტიის თანხის მოთხოვნის საფუძველი:	"გარანტი"-ს მიერ საგარანტიო თანხის გაცემა მოხდება, თუ ზემოაღნიშნული მოთხოვნა წარდგენილი იქნება „ბენეფიციარის" წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერით გარანტიის ვადის ამოწურვამდე, თუ პირველი მოთხოვნა წარდგენილია გარანტიის ვადის ამოწურვამდე და გარანტიის თანხა არ არის გაცემული.
გარანტიის მოქმედების ვადა :	---------- მდე და ამ დღის ჩათვლით. მოთხოვნა გარანტიაზე გადახდის შესახებ "ბენეფიციარის" მიერ წარმოდგენილ უნდა იქნას ამ თარიღამდე და ამ თარიღის ჩათვლით. თუ გარანტიის მოქმედების ვადის ბოლო დღე ემთხვევავა არასაბანკო დღეს, ვადა ავტომატურად გრძელდება მომდევნო საბაკო დღის ჩათვლით.

თუ წინამდებარე საბანკო გარანტიის მოქმედების ვადაში არ იქნა წარმოდგენილი “ბენეფიციარის” წერილობითი მოთხოვნა (არ არის სავალდებულო მოთხოვნა შეიცავდეს მითითებას კონკრეტულ დარღვევებზე), მაშინ გარანტიის მოქმედება წყდება.

დანართი N 5

დანართი ---: შესრულების გარანტია	
გარანტი:	გარანტის სახელწოდება
პრინციპალი:	პრინციპალის სახელწოდება პირადი ნომერი/საიდენტიფიკაციო კოდი ----------
ბენეფიციარი :	ბენეფიციარის სახელწოდება
გარანტიის თანხა :	----------
გარანტიის გაცემის საფუძველი :	“ბენეფიციარსა” და „პრინციპალს“ შორის 201-წლის (რიცხვი, თვე) # ____ ტენდერი საფუძველზე გასაფორმებელი ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფა.
გარანტიის ძალაში შესვლის წინაპირობა:	გარანტია ძალაში შედის მისი გამოცემისთანავე.
გარანტიით უზრუნველყოფილი ვალდებულება:	“გარანტი” კისრულობს ვალდებულებას, ყოველგვარი უარყოფისა და გასაჩივრების უფლების გარეშე, აგრეთვე ზემოაღნიშნული ხელშეკრულების მოქმედების ვადის ან ნამდვილობის მიუხედავად, “ბენეფიციარის” პირველივე წერილობითი მოთხოვნის (არ არის სავალდებულო მოთხოვნა შეიცავდეს მითითებას კონკრეტულ დარღვევებზე) მიღებიდან სამი საბანკო დღის ვადაში გადაუხადოს მას გარანტიის თანხა.

გარანტიის თანხის მოთხოვნის საფუძველი:	“გარანტი”-ს მიერ საგარანტიო თანხის გაცემა მოხდება, თუ ზემოაღნიშნული მოთხოვნა წარდგენილი იქნება „ბენეფიციარის“ წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერით გარანტიის ვადის ამოწურვამდე. თუ პირველი მოთხოვნა წარდგენილია გარანტიის ვადის ამოწურვამდე და გარანტიის თანხა არ არის გაცემული, ხელმეორე მოთხოვნა (ასეთის არსებობის შემთხვევაში), რომელიც აზუსტებს პირველ მოთხოვნას ვადაში გაგზავნილად ითვლება (მიუხედავად მისი გაგზავნის თარიღისა) და ექვემდებარება ანაზღაურებას.
გარანტიის მოქმედების ვადა :	----------მდე და ამ დღის ჩათვლით. მოთხოვნა გარანტიაზე გადახდის შესახებ “ბენეფიციარის“ მიერ წარმოდგენილ უნდა იქნას ამ თარიღამდე და ამ თარიღის ჩათვლით. თუ გარანტიის მოქმედების ვადის ბოლო დღე ემთხვევა არასაბანკო დღეს, ვადა ავტომატურად გრძელდება მომდევნო საბაკო დღის ჩათვლით.

თუ წინამდებარე საბანკო გარანტიის მოქმედების ვადაში არ იქნა წარმოდგენილი “ბენეფიციარის” წერილობითი მოთხოვნა (არ არის სავალდებულო მოთხოვნა შეიცავდეს მითითებას კონკრეტულ დარღვევებზე), მაშინ გარანტიის მოქმედება წყდება.